საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

31/10/2022
N 1753

1753-09-02-11-3-202210311500

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილულ იქნა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების დავით გაბაიძის და ვლადიმერ მგალობლიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№09-01-08/33, 22.09.2022).

I. საკანონმდებლო ცვლილების ძირითადი არსი

მიმდინარე წლის 6 სექტემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიურომ დაამტკიცა უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნულ დოკუმენტში ასახული ვალდებულებების განხორციელება მიმართულია საკანონმდებლო ორგანოს ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდისკენ საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ერთ-ერთი ვალდებულებაა უმაღლესი საბჭოს საზედამხედველო ბერკეტების გაფართოება, უფრო კონკრეტულად კი თემატური მოკვლევის საკითხის ინსტიტუციონალიზაცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წელს მიღებული კონსტიტუციისა და მის საფუძველზე 2019 წელს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, უმაღლესი საბჭო საკანონმდებლო დონეზე აღიჭურვა ყველა იმ მნიშვნელოვანი საზედამხედველო ინსტრუმენტებით, რაც აუცილებელია მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების კუთხით.

თემატური მოკვლევა კარგი შესაძლებლობაა სხვადასხვა აქტუალური და პრობლემური საკითხის მოსაკვლევად და შემდგომი ნაბიჯებისთვის შესაბამისი დასკვნების მოსამზადებლად.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი საზედამხედველო ინსტრუმენტი საკანონმდებლო დონეზე უნდა იყოს რეგლამენტირებული.

საკანონმდებლო ცვლილების მეორე ნაწილიც ღია მმართველობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებას ემსახურება და მისი მიზანი ონლაინმექანიზმების გამოყენებით უმაღლესი საბჭოს საზედამხედველო საქმიანობაში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდაა. კერძოდ საუბარია იმაზე, რომ მთავრობის შესაბამისი წევრის უმაღლეს საბჭოში წარდგენამდე - მინისტრის საათამდე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს ჰქონდეთ საკანონმდებლო დონეზე გარანტირებული უფლება კითხვით მიმართოს მთავრობის შესაბამის წევრს.

II. რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით საკომიტეტო განხილვამდე გამოთქმული მოსაზრება/შენიშვნა

რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტში (წამყვანი კომიტეტი) წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნა, რომლის შესაბამისად, რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნიათ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით კომენტარის სახით მოსაზრება/შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

III. საკანონმდებლო ცვლილების შეფასება

რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით კომიტეტის სხდომაზე შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

დასკვნითი ნაწილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს წევრების დავით გაბაიძის და ვლადიმერ მგალობლიშვილის მიერ ინიცირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად მიიჩნია.

პატივისცემით,

ვლადიმერ მგალობლიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე